საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

ბროილერის ძირითადი დაავადებები

წიწილა ბროილერის გამოზრდა ღრმა ქვეშსაფენზე

(რეკომენდაციები)

თბილისი
2022

UDC უაკ . 619:616.51636.5

კ - 889

ავტორები:

კორნელი კუკულავა - ვეტერინარი ექიმი;

ზემფირა ოყროშიძე - ვეტერინარი ექიმი;

ოთარ ინასარიძე - ვეტერინარი ექიმი.

რეცენზენტი:

თენგიზ ყურაშვილი-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსმმა აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“.

ISBN 978-9941-8-4128-6

სარჩევი

I. გადამდები დაავადებები:

1. ასპერგილოზი;
2. პულოროზი;
3. დისპეპსია;
4. კოლიბაქტერიოზი;
5. მიკოპლაზმოზი;
6. კოკციდიოზი;
7. ბრონქოპნევმონია;
8. მარეკი;
9. ნიუკასლის დაავადება;
10. ინფექციური ბრონქიტი;
11. გამბორო(ინფექციური ბურსას დაავადება);
12. ყვავილი;
13. ინფექციური ლარინგოტრახეიტი;
14. ფრინველის გრიპი;
15. პასტერელოზი (ქოლერა);
16. ინფექციური ანემია (ლურჯი ფრთის სინდრომი);
17. ენდოპარაზიტები (ასკარიდიოზი და ჰეტერაკიდოზი);
18. ექტოპარაზიტები;
19. მიკოტოქსინები.

II. არაგადამდები დაავადებები:

1. შარდმჟავა დიათეზი
2. ჰიპოვიტამინოზები
3. ასციტი (ფილტვის მაღალი წნევის სინდრომი)
4. ცხიმოვანი ღვიძლის ჰემორაგიული სინდრომი
5. კანიბალიზმი, კორტნა
6. ჰიპერთერმია, გადახურება მაღალი ტემპერატურით.
7. გადაცივება
8. დეჰიდრაცია(საკვების და წყლის მიუღებლობა)
9. ჰიპოგლიკემია
10. კერატოკონიუქტივიტი
11. ქერქიანი ბარძაყის სინდრომი
12. სტერნალური ბურსიტი
13. ქსანტომატოზი
14. ბუმბულის პათოლოგიური ცვენა
15. ისტერია
16. ფეხის დაავადებები, ფეხზე ეცემა, ვერ დგება.
17. თვალის დაავადებები

18. კუტიკულიტი
19. ვაქცინაზე რეაქცია (ვაქცინაციის შემდგომი გართულება).

ბროილერის ძირითადი დაავადებები

I. გადამდები დაავადებები.

1. **ასპერგილოზი.**

გამომწვევი - სოკო Aspergilus;

მიზეზი: ანტისანიტარია, ცუდი ვენტილაცია, მაღალი სინესტე, ვრცელდება სასუნთქ გზებში.

სიმპტომები: აჩქარებული სუნთქვა, ხიხინი, მოდუნებულია, ლორწოვანა-ციანოზური, ფაღარათი, ანორექსია, გაძლიერებული წყურვილი, სიგამხდრე.

პათ.ანატომია: საჰაერო პარკებში შეგუბებული სითხე, ბრონქებზე ნაცრისფერი, შავი ან მწვანე ნადებები.

პრევენცია: სანიტარული პირობების დაცვა, შენობის სრულყოფილად მომზადება, დროული დეზინფექციები.

მკურნალობა: ნისტატინი, სპილენძის ხსნარის გაფრქვევა (1:200), ან იოდის ფხვნილი 5გრ.+კალიი იოდატი 8გრ.+1ლ. წყალი. 1კუბ.მ.ფართობზე 10მლ. გაფრქვევა. დღეში ერთჯერ.5 დღე. მონკლავიტი - აეროზოლურად, ერთქლორიანი იოდი, ქლორსკიპიდარი, ბორის მჟავა და სხვა.

2.პულოროზი.

გამომწვევი - salm.pullorum;

მიზეზი: ვეტ პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობა.

სიმპტომები: მოზარდში მწვავედ მიმდინარეობს, სიკვდილიანობა მაღალია მე-4-5 დღეს, სუსტდება, დიარეა-თეთრი ფერის, ანორექსია, კლოაკა ეცობა, თავს იყრიან სითბოსთან, არის რესპირატორული ნიშნებიც. ზრდასრულში კლინიკა სუსტადაა გამოხატული, ფარულად მიმდინარეობს, დაავადებას კი იოლად ავრცელებენ.

პათანატომია: მოზარდში- კლოაკაში თეთრი წებოვანი მასა, ღვიძლზე, გულზე, ელენთაზე, ფილტვზე ნაცრისფერი ნადებები, ელენთა გადიდებული, თირკმელში ურატები ჭარბად. ზრდასრულში: მიოკარდიტი, პერიკარდიტი, საკვერცხის ატროფია, პერიტონიტი, ასციტი.

პრევენცია: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სადედე გუნდს, ინკუბაციის რეჟიმს, საინკუბაციო კვერცხის დეზინფექციას, ზოგადი ვეტ.ღონისძიებების გატარებას.

მკურნალობა: ანტიბიოტიკები, სულფანილამიდები.

3. **დისპეპსია.**

მიზეზი: გაფუჭებული საკვები, გადაძღომა, უხარისხო საკვები, მინერალების და ვიტამინების ნაკლებობა, ცუდი წყალი. ერთდღიანი წიწილის კუჭის წვენში არასაკმარისია მომნელებელი ფერმენტები, რის გამოც ირღვევა საკვების მონელების პროცესი.

კლინიკა: თეთრი, ან მომწვანო-მოყვითალო ან მოყავისფრო ფერის ფაღარათი, ბევრი ლორწოთი, უმადობა, თვალები დახუჭული, ძლიერი სისუსტე, იმუნიტეტი ეცემა.

მკურნალობა: ასაკის შესაბამისი გაბალანსებული, ხარისხიანი საკვების გამოყენება, საშუალო ულუფებით ხშირი კვება - დღეში 6-ჯერ.

კარგია კალიუმის პერმანგანატის სუსტი ხსნარი დასალევად (ნაწლავებში ხრწნის პროცესი ჩერდება), ასევე გლუკოზის და ასკორბინის მჟავას ნარევი (მატებს ენერგიას, დასუსტებულია და აქტიურდება). მკურნალობის პერიოდში-საკვებში დროებით არ გამოვიყენოთ ცხიმები და რთული ცილები.

4. **კოლიბაქტერიოზი.**

გამომწვევი - Esherich. coli.

მიზეზი: საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლა, ცუდი ვენტილაცია, საკვების, წყლის, ჰაერის ბაქტერიული დაბინძურება.

სიმპტომები: აირსაკკულიტის ფორმა (5-6 კვირის ასაკში), უმადობა, ბევრ წყალს სვამს, ნისკარტი ულურჯდება, ფაღარათი, კლოაკის ირგვლივ მოსვრილია მწვანე ფერის მასით,.

პათანატომია : პერიკარდიტის ფორმა (სეპტიცემიის შედეგად), ღვიძლი მწვანე ფერისაა, ომფალიტი (ჭიპლარის და ყვითრის პარკის ანთება), მწვავე სეპტიცემიის ფორმა, ენტერიტი. ზრდასრულში: სალპინგიტი, კოლიგრანულომა, სინოვიტი, ოსტეოართრიტი, პანოფტალმიტი, მენინგიტი, ცელულიტი.

პრევენცია: სანიტარული პირობების გაუმჯობესება, სადედეს მოვლა, საინკუბაციო კვერცხის დეზინფექცია, ინკუბაციის რეჟიმის დაცვა, კარგი მიკროკლიმატი (ტემპერატურა, სინესტე, ვენტილაცია).

მკურნალობა: ანტიბიოტიკებით. (ლევოფლოქსაცინი, ენროფლოქსაცინი და სხვა).

5. **მიკოპლაზმოზი**

გამომწვევი: M. Sinoviale

მიზეზი: დაინფიცირებული შენობა, ქვეშსაფენი, საკვები, წყალი, ცუდი ვენტილაცია, სინესტე.

სიმპტომები: ძირითადათ 4-6 კვირის ბროილერში გვხვდება, ასევე ზრდასრულშიც (10 კვირის). სუნთქვა დარღვეულია, მადა არა, დაცემა მოზარდში 25%, ზრდასრულში 5%,

სიგამხდრე, რინოტრახეიტი, ყელში ექსუდატის დაგროვება (თავს წინ სწევს-სუნთქვა უჭირს), ცხვირიდან ლორწოვანი გამონადენი (ზოგჯერ ჩირქოვანი), კოჭლობს, ხშირად წევს, ფეხები შესიებული, განსაკუთრებით ფეხის გულები. მღვრიე ექსუდატით.

პრევენცია: სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვა, დეზინფექციები, გაბალანსებული საკვები. არის ვაქცინა.

მკურნალობა: ანტიბიოტიკებით.

6. **კოკციდიოზი** (პროტოზოა). გამომწვევი უმარტივესი ორგანიზმები - კოკციდიები.

მიზეზი: ანტისანიტარია, დაავადებულთან კონტაქტი, უხარისხო დეზინფექცია.
ძირითადათ ავადდება 15-60 დღის ასაკის ფრინველი. თუ სანაციის პერიოდში დეზინფექციები არ ტარდება ხარისხიანად, განსაკუთრებიტ მოწვა, შეიძლება დაავადება ძალიან გაახალგაზრდავდეს. ამიტომ დაავადების საწინააღმდეგო სქემაც შესაბამისად უნდა შეიცვალოს.

კლინიკა: სისხლიანი ფაღარათი, აბუზული, ძლიერი წყურვილი, სისუსტე, მძინარობა, ფრთები ჩამოშვებული, მადა არა, ანემიური ლორწოვანა გარსები და კანი, დაცემის მაღალი პროცენტი.

პათანატომია: ნაწლავებში ენტერიტი, ბრმა ნაწლავში სისხლიანი მასით.

პრევენცია: სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვა, დეზინფექციები, არის ვაქცინა.

მკურნალობა: კოკციდიოსტატიკებით, ასევე უნდა მიეცეს ვიტამინები(A და K).

7. **ბრონქოპნევმონია.**

მიზეზი: ცუდი მიკროკლიმატი, ანტისანიტარია, მაღალი სინესტე, გაციება. ძირითადათ 2 – 3 კვირის ასაკში, შეიძლება ერთი თვის ასაკშიც.

სიმპტომები: სველი ხველა, კისერი წინ წაწეული, სუნთქვა უჭირს, პირი ღია, დაავადება სწრაფად რთულდება, მადა-არა, სიგამხდრე, მძინერობა.

პათანატომია: ლეში კახექსიურია, სასუნთქი გზების დაზიანება, ფილტვები ანთებადი, ექსუდატით, ჩამუქებული ფერით.

პრევენცია: ტემპერატურული რეჟიმის დაცვა, სანიტარული პირობების გაუმჯობესება, ორპირი - დაუშვებელია.

მკურნალობა: ანტიბიოტიკებით.

8. მარეკი.

გამომწვევი : ჰერპეს ვირუსი;

ძირითადათ ავადდება მოზარდი, ასევე კვერცხდების დაწყების პერიოდში. დაავადების აღმძვრელი ბუდობს ბუმბულში, კანში, ფრთაში, შესაბამისად დაავადება ვრცელდება სწრაფად და პირდაპირი გზით.

კლინიკა: კახექსიურია, ასიმეტრიული, პარალიჩი, სიბრმავე, თავი დახრილი ან წინ წაწეული, ჩიჩახვის პარალიჩი- გადიდებულია. სუნთქვა შედარებით გაძნელებული, ვერ ჭამს, წყალს ვერ ღებულობს, ფრთები და კუდი ჩამოშვებული, კოორდინაცია დარღვეული, გადაადგილება უჭირს, წევს ერთი ფეხი წინ, ერთი - უკან, დიარეა.

პათანატომია: შინაგან ორგანოებში სიმსივნური კვანძები, განსაკუთრებით გადიდებულია ჩიჩახვი და ჯირკვლოვანი კუჭი, სისხლჩაქცევებით, ნერვული ღეროები (ბარძაყის, მხრის) მნიშვნელოვნადაა გადიდებული.

მკურნალობა - არა.

პრევენცია : ბროილერის კომერციული (სახორცე) გუნდისთვის თავიდანვე უნდა გავარკვიოთ სადედე გუნდის აცრის შესახებ და განისაზღვროს დედისეული იმუნიტეტის ხანგრძლიობა. შესაბამისად რადგან ბროილერი უნდა დაიკლას 40-45 დღის ასაკში - მარეკის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არ უტარდება, სხვა შემთხვევაში წიწილი აიცრება ინკუბატორშივე, იმუნიტეტი გაყვება მთელი ცხოვრება.

მკაცრად უნდა დავიცვათ ვეტ პროფილაქტიკური ღონისძიებები, ვკვებოთ გაბალანსებული საკვებით.

9. ნიუკასლის დაავადება.

გამომწვევი-პარამიქსოვირუსი.

გვხვდება ყველა ასაკში,

მიზეზი- ვეტპროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობა.

კლინიკა: რესპირატორული დაზიანება, დეპრესია, ტემპერატურა მომატებულია 43 – 44 გრადუსამდე, აცემინებს, თავს წინ სწევს, ჩიჩახვი გადავსებული, ღებულობს ყლაპვის პოზას, ისმის სტვენის ხმა, პირიდან გადმოდის მყრალი სუნის ლორწოვანი მასა, 88%-ში ფაღარათი, (ზოგჯერ სისხლნარევი), ბიბილო ციანოზური, ზრდაში ჩამორჩენილი, ანორექსია, პარალიჩი, კონიუქტივიტი, თვალიდან და ცხვირიდან წებოვანი სითხის გამონადენი, ნაკელი მწვანე ფერისაა.

პათანატომია: სასუნთქი გზების ანთება, საჭმლის მომნ. ტრაქტის ლორწოვანა გარსების ანთება, სისხლჩაქცევები, განსაკუთრებით ჯირკვლოვანი და კუნთოვანი კუჭის საზღვარზე, ასევე ბრმა ნაწლავის ბიფურკაციის ადგილზე - დიფტერიული ნადებების სახით (ბუტონები).

საჰაერო პარკი ანთებადია.

მკურნალობა - არა. **უნდა განადგურდეს.**

მთავარია პრევენცია, ვაქცინაცია აუცილებელია. აცრა - ეფექტურია. კონკრეტულ საწარმოში ვაქცინაციის შესაბამის სქემას ეპიზოოტიური სიტუაციის გათვალისწინებით ადგენს ვეტერინარი ექიმი.

10. ინფექციური ბრონქიტი.

გამომწვევი : კორონავირუსი. დაავადებას ხელს უწყობს ვეტ პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობა.

კლინიკა: რესპირატორული სინდრომით ავადდება მეტად მოზარდი (30 დღემდე), ვლინდება: ხველა, ცემინება, ხროტინი, ცხვირიდან და თვალიდან გამონადენი- მღვრიე ფერის, დეპრესია, უმადობა, თავს იყრიან სითბოსთან, ისმის ,,კატის კნავილის“ ხმა, მაღალი ლეტალობა.

ზრდასრულში : ნეფროზო-ნეფრიტული და რეპროდუქციული დარღვევები, კვერცხდება იკლებს, ნაჭუჭი თხელი, სხვადასხვა ფორმის,, კვერცხის გული წყალწყალა, პადაგრა.

პათანატომია: მოზარდში: სასუნთქი გზების ანთება, აირსაკკულიტი, თირკმლებში ბლომად შარდმჟავა მარილები.

ზრდასრულში: ყვითრისმიერი პერიტონიტი, პადაგრა, საკვერცხეს ატროფია, კისტები კვერცხსავალში.

მკურნალობა - არა.

პრევენციის მიზნით ვაქცინაცია აუცილებელია. **სქემას ადგენს ვეტექიმი.**

10. გამბორო (ინფექციური ბურსას დაავადება).

მიზეზი: გამომწვევი- რნკ შემცველი უგარსო ვირუსი - Birnaviridae - ს ოჯახიდან. მეტად ავადდება 3-6 კვირის ასაკში. დაავადებას ხელს უწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა, ორპირი ქარი, მაღალი ტენიანობა, მჭიდროდ დასმა, გაუბალანსებელი საკვები, საკვებში მარილის მაღალი შემცველობა, საკვებით მოწამვლა.

კლინიკა: მწვავე ფორმით 2-3 კვირის ასაკში ავადდება, სუბკლინიკური ფორმით 4 კვირის ზევით. სახეზეა ხველა, ხიხინი, უმადობა, აბუზულია, ძლიერი თეთრი ფერის ფაღარათი, გაუწყლოვნება, წონაში იკლებს, კორტნა კლოაკის ირგვლივ, მაღალი ავადობა, სიკვდილიანობა 30%.

პათანატომია: ლეში კახექსიურია, გაუწყლოვნება, სისხლჩაქცევები კუნთებსა და კუჭის ლორწოვან გარსზე. ფაბრიციუმის ჩანთა გადიდებულია, დასაწყისში ჰემორაგიული, რომელიც დაავადების მე -4-7 დღეზე პატარავდება, მე-9 დღეზე კი ატროფირდება, განაჭერზე შეიცავს ხაჭოსებრ მასას. თირკმელი გადიდებულია , ურატები ჭარბად. კუნთებში ჰემორაგიები. სიკვდილიანობა მე-5-6 დღიდან - 40% -მდე.

მკურნალობა - არა.

პრევენცია: დავიცვათ მოვლა შენახვის პირობები.

ვაქცინაცია აუცილებელია. ეფექტურია პირველი აცრა მე- 7 ან მე-8 დღეზე, მეორე აცრა მე -17 ან მე- 18 დღეზე, დალევინებით.

12. **ყვავილი**

მიზეზი: გამომწვევი-ვირუსი - Poxviridae-ს ოჯახიდან. დაავადებას ხელს უწყობს -ცუდი სანიტარულ ჰიგიენური პირობები, ცუდი მიკროკლიმატი.

კლინიკა: დაავადების ფორმებია: კანის, დიფტერიული და შერეული. ვლინდება: ზემო სასუნთქი გზების დაზიანება, ტრახეიტი, ცხვირიდან გამონადენი, ცრემლდენა, დიფტერიული ნადები ყელში, გამონაყარი კანზე, ბიბილოზე, საჭმლის მომნელებელი ფუნქცია მოშლილია, წონაში იკლებს,

პათანატომია: კანზე ნაწიბურები, ბუშტუკები, მუწუკები, მოყვითალო ფერის ქერცლი, კიდურებზეც ყვითელი ფერის მუწუკები, ტერფზე გარქოვანება, დიფტერიული ფორმის დროს ხახის ლორწოვანაზე ყვითელი დიფტერიული ნადებები.

პრევენცია: ზოგადი და სპეციფიკური ვეტ ღონისძიებების გატარება,

ვაქცინა არის, იმუნიტეტი მყარია.

(თუ ზონა კეთილსაიმედოა ყვავილზე- აცრა არაა სავალდებულო).

13. **ინფექციური ლარინგო ტრახეიტი.**

მიზეზი: გამომწვევი -ჰერპესვირუსი. ძირითადათ 4 კვირაზე ზევით ასაკში ავადდება. ხელს უწყობს ვეტ. პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობა.

კლინიკა: ჰაერის უკმარისობა, ხრჩობის ხმა, ხველა, ჩასუნთქვისას თავს მაღლა სწევს, ისმის სტვენის ხმა. სისხლიანი ამონახველი, თავი და მკერდი მოსვრილია სისხლით (თავის ქნევის გამო), ცხვირიდან და თვალიდან გამონადენი.

პათანატომია: ტრახეიტი, ტრახეაში ფიბრინული საცობი, თვალის გარსებზე - სისხლიანი დიფტერიული ნადები.

მკურნალობა-არა.

პრევენცია: სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვა, ტემპერატურული რეჟიმის მკაცრად დაცვა, (ვირუსს სითბო არ უყვარს).

ვაქცინა-არის.

კომერციული და კეთილსაიმედო ფერმები არ იცრება.(ეპიზოოტიური სიტუაციის მიხედვით).

14. ფრინველის გრიპი.

მიზეზი: გამომწვევი-ვირუსი. ხელს უწყობს ვეტ პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობა.

კლინიკა: დაავადებას ახასიათებს უცაბედი აფეთქება, სიკვდილიანობა მაღალია, რესპირატორული ცვლილებები, ხველება, ცრემლდენა, სინუსიტი, დეპრესია, მაღალი ტემპერატურა, ფაღარათი.

პათანატომია: ტრახეის, სინუსის, საჰაერო პარკების ანთება მცირე ნეკროზული კერებით, კონიუქტივიტი, კიდურებზე წითელი ლაქები.

მკურნალობა: არა.

პრევენცია: სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვა, მოვარიდოთ წყალში მცურავ ფრინველს. **დაავადებული უნდა განადგურდეს.**

15. პასტერელოზი-ხოლერა.

მიზეზი: გამომწვევი- ბაცილა-PASTERELA MULTICIDA. ხელს უწყობს ვეტპროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობა. წყალში მცურავ ფრინველებთან სიახლოვე.

კლინიკა: მეტად ავადდება ზრდასრულ ასაკს მიღწეული, უცაბედი სიკვდილი, კახექსია, ციანოზი, ცხვირიდან და პირიდან ლორწოვანი გამონადენი, დიარეა, ბიბილო და სახსრები შესიებული.

პათანატომია: სისხლჩაქცევები ნაწლავის ლორწოვანა გარსებზე, გულზე, კუნთ. კუჭის ლორწ. გარსზე, საკვერცხეს ანთება, პერიტონიტი, ღვიძლი გადიდებული, ფილტვი, თირკმელი ანთებადი, ნეკროზული კერებით, აირსაკკულიტი, სისხლძარღვები სავსეა შედედებული სისხლით.

მკურნალობა: რთულია, მაგრამ ადრეულ სტადიაზე გამოიყენება: სულფანილამიდები, ანტიბიოტიკები.

პრევენცია : ვეტ.პროფილაქტიკური ღონისძიებების მკაცრად გატარება. არის ვაქცინა.

16. ბროილერის ინფექციური ანემია (ლურჯი ფრთის სინდრომი).

გამომწვევი-ვირუსი. ავადდება 2-3 კვირის ასაკში (თუ სადედე გუნდი აცრილია, იმუნიტეტი წიწილს იცავს 2 კვირამდე).

დაავადება გადაეცემა საინკუბაციო კვერცხით, ვრცელდება დაავადებულთან კონტაქტით. ვირუსი აზიანებს ძვლის ტვინს, თიმუსს, ლიმფური ჯირკვლები ატროფირდება, ჩინჩახვის სეკრეტორული ჯირკვლების ფუნქცია ეცემა.

კლინიკა : დაავადება ვითარდება 10-12 დღის და 26 დღის ასაკიდან. ვლინდება: უმადობა, წონაში კლება, მკვეთრად გამოხატული ანემია, ფრთები ჩამოშვებული, განგრენული

დერმატიტი, ფრთის ქვეშ ვენების სისხლსავსეობა, სილურჯე (ლურჯი ფრთის სინდრომი), სიკვდილიანობა ზოგჯერ 60 პროცენტამდე აღწევს.

პათანატომია : კანქვეშა შეშუპება, დერმატიტი, ფრთის ვენების სისხლსავსეობა - სილურჯე, ღვიძლი გადიდებული, უფერული, ნაღვლის გზები გადავსებულია ნაღველით, თიმუსი და ბურსა ატროფიულია, გული მოცულობაში საგრძნობლად მომატებულია, პერიკარდიუმის ქვეშ ჭარბად სითხე, კუნთებში ხშირად სისხლჩაქცევები.

დიფერენციაცია: სტაფილოკოკოზთან, ჰიპოვიტამინოზთან, მიკოტოქსინებთან, გამბოროსთან.

მკურნალობა: არა.

პრევენცია: ვაქცინაცია. ზოგადი ვეტ.ღონისძიებების ეფექტურად გატარება, მიკროკლიმატის .რეგულირება, გაბალანსებული კვება.

17. **ენდოპარაზიტები:** ასკარიდიოზი და ჰეტერაკიდოზი.

მიზეზი: დაინვაზირებული გარემო, ხელს უწყობს ანტისანიტარია, მაღალი სინესტე, ცუდი მიკროკლიმატი, მჭიდროდ დასმა.

კლინიკა: ენტერიტი, ანემიურობა, სიგამხდრე, უმადობა.

პათანატომია: წვრილ ნაწლავებში გვხვდება ასკარიდიები (3-5სმ), ბრმა ნაწლავში - ჰეტერაკისები (0,3-1,5სმ.).

პრევენცია: სანაციის პერიოდის დაცვა, დეზინფექციის ჩატარება, მოწვა. ვეტ. პროფილაქტიკური ღონისძიებების მკაცრად გატარება.

მკურნალობა: სადეჰელმინთიზაციო საშუალებების მიცემა.

18. **ექტოპარაზიტები:**

-კნემიდოკოპტოზი (ფეხის);

-მალაფაგოსი (ბუმბულიჭამია);

-წითელი ტკიპა (დერმანისუსი);

-არგასიდები;

-ბაღლინჯო, რწყილი, ტილი, ხოჭო, კოღო.

მიზეზი: ექტოპარაზიტები. დაავადებას ხელს უწყობს: მტვერი, ცუდი მიკროკლიმატი, მაღალი სინესტე, სისველე, მავნე აირების მაღალი შემცველობა, მჭიდროდ დასმა.

კლინიკა: ქათამი ნერვიულობს, თავს იქნევს, ბიბილო უფერული, ცოცხალი წონა კლებულობს, კვერცხზე სისხლიანი წერტილებია. კანზე ვნახულობთ ექტოპარაზიტებს (წითელ ტკიპას - ღამით).

პათანატომია: კანზე, ფეხებზე წერტილოვანი დაზიანებები, ანემიურია.

პრევენცია: სანაციის დროს აკარაციდების ეფექტურად გამოყენება, მოწვა გაზის ალით, ღრმა ქვეშსაფენზე ხელოვნური ვანის მოწყობა: ნაცარი და სილა (2:1), კარგია გოგირდის და ჩამქრალი კირის გარევა.

მკურნალობა: 1 – 2 % სევინი, 2% ოქსამადის ემულსია, საპონი სკ-9, ბროვერმექტინი, ბუტოქსი, ვიროციდი, სებაცილი 0,2%, დერგალი 1%, ფენდონა, ივერმეკი, პირეტრუმი, ტროლენი 0,2%, ნეოციდოლი, დიკრეზილი, სუფთა ნავთი, ეკოფლისი (აეროზოლი)-შეიძლება ფრინველთან ერთად.

19. მიკოტოქსინები

მიზეზი: გამომწვევია სოკო (მოქმედებს სოკოს ტოქსინები), უხარისხო საკვები, მჭიდროდ დასმა, ანტისანიტარია.

კლინიკა: ნერვული მოვლენები, კოორდინაციის დარღვევა, უმადობა, ცილების სინთეზის მოშლა, თირკმლის ფუნქციის მოშლა, წყურვილი, დიარეა (ზოგჯერ სისხლიანი), ენტერიტი, ზრდაში ჩამორჩენა, კიდურების ნეკროზი.

პათანატომია: ღვიძლი ყავისფერი ან ყვითელი ფერის, ენტერიტი, ასციტი, თირკმელი გადიდებული, ზოგჯერ კისტები, კუჭსა და ნაწლავებში მომწვანო მყვითალო თხიერი მასა.
პრევენცია: სანიტარულ ჰიგიენური პირობების, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, ხარისხიანი საკვების გამოყენება.

მკურნალობა: საკვების შეცვლა ხარისხიანი საკვებით, დაუმატეთ ,,ც'' ვიტამინი და მიკოტოქსინების საწინააღმდეგო პრეპარატები.

II. არაგადამდები დაავადებები.

1. შარდმჟავა დიათეზი, პადაგრა.

მიზეზები: ჭარბი პროტეინი საკვებში (განსაკუთრებით ცხოველური), ზედმეტი კალციუმი, A-ვიტამინის დეფიციტი, ანტიბიოტიკების ხშირი გამოყენება, წყალში მაღალი ქლორიდები, მიკოტოქსინები, ერთდღიანი წიწილის გადაციება ან ჩახურება, არასწორი ტრანსპორტირება, სასმელი წყლის დაგვიანებით მიცემა, ინფექციური დაავადებები (ინფ.ბრონქიტი).
კლინიკა: ახალგაზრდა ბროილერში შარდმჟავა დიათეზის სახით ვლინდება, ზრდასრულში კი პადაგრა და თირკმლის შარდკენჭოვანი დაავადების სახით გვხვდება.

პათანატომია: ვისცერალური ფორმის დროს შინაგანი ორგანოების ზედაპირზე დალექილია თეთრი ფერის შარდმჟავა მარილები, თირკმლებში ურატები. ხანდაზმულში სახსრები გასიებულია, მარილების შემცველი შიგთავსით.

პრევენცია: ინკუბაციის რეჟიმის დაცვა, სწორი ტრანსპორტირება, ტემპერატურული რეჟიმის დაცვა, სასმელი წყლის დროულად მიწოდება, გაბალანსებული კვება, ვიტამინების ნორმირებული მიცემა, განსაკუთრებით A-ვიტამინის, ელექტროლიტების ბალანსირება სასმელ წყალში, საკვების ანალიზი მიკოტოქსინებზე, PH-ის რეგულირება სისხლში.

მკურნალობა: სასმელ წყალში: უროტროპინი, გოუტექსი, ჰეპავექსი და სხვა.

2. ჰიპოვიტამინოზები:

ა) ,,A"ვიტამინის ნაკლებობა:

მიზეზი: A-ვიტამინის დეფიციტი საკვებში.

სიმპტომები: ზრდაში ჩამორჩენა, მოდუნებულია, ატაქსია, ანორექსია, ანემიურია, თვალი და კონიუქტივა ანთებადი, ქუთუთოები წებოვანი, პირის ღრუში თეთრი ფერის ნადები.

პათანატომია: დაზიანებულია თვალის, პირის ღრუს, ხახის, ნაწლავების ლორწ. გარსები.

მკურნალობა, პრევენცია: გაბალანსებული საკვების მიცემა, ვიტამინების კონტროლი, მიკროკლიმატის გაუმჯობესება.

ბ). E-ჰიპოვიტამინოზი

მიზეზი: E-ვიტამინის ნაკლებობა საკვებში. დაავადებას ხელს უწყობს ამჟავებული ცხიმების გამოყენება (თევზის ქონი, სოიოს ზეთი).

სიმპტომები: ვითარდება ენცეფალომალაცია (ნერვული ქათმის სინდრომი), ექსუდაციური დიათეზი, კუნთების დისტროფია, ატაქსია, უკან გადავარდნა, გვერდზე წოლა, გაშლილი ფეხებით, თითები მოხრილი, ფრინველი მაინც იკვებება - მადა შენარჩუნებულია.

მკურნალობა, პრევენცია : საკვების ანალიზი, ანტიოქსიდანტების და E-ვიტამინის დამატება, ასევე სელენიუმის და გოგირდის შემცველი ამინომჟავების მიცემა. ვეცადოთ მზა კომბინირებული საკვები დიდი ხნით არ შევინახოთ.

გ). D 3-ჰიპოვიტამინოზი. (რაქიტი).

მიზეზი: საკვებში D3-ვიტამინის და ფოსფორის ნაკლებობა.

კლინიკა: კოჭლობს. გვერდზე წვება, ხშირად ჩამჯდარია, ზრდაში ჩამორჩება, კუთხეში იყუჟება.

პათანატომია: ძვლები, ნისკარტი - რბილია, შინგანი ორგანოები უფერული, ზრდაში ჩამორჩენილი, გამხდარია.

მკურნალობა, პრევენცია : გაბალანსებული კვება, D3-ვიტამინის დამატება, დასაწყისში 2-3- ჯერ მეტი დოზით. გაბალანსებული კვება. მოვლა შენახვის პირობების გაუმჯობესება.

დ). B-ჯგუფის ვიტამინების ნაკლებობა.

მიზეზი: გაუბალანსებელი საკვების მიცემა, B-ჯგუფის ვიტამინების ნაკლებობა.

კლინიკა: ფეხები მოხრილია რკალისებურად, თითების პარალიჩი, ზოგადი ნერვული მოვლენები, კუჭ ნაწლავის ფუნქციის მოშლა, ღეში კახექსიურია.

პათანატომია: მოხრილი კიდურები, ფეხის კუნთების ატროფია, ზრდაში ჩამორჩენა, დიარეა, ანემიურობა, ღვიძლი და თირკმელი გაცხიმოვნებული.

მკურნალობა, პრევენცია : B-ჯგუფის ვიტამინების დამატება, გაბალანსებული კვება.

ე). K-ჰიპოვიტამინოზი

მიზეზი: გაუბალანსებელი საკვები, K-ვიტამინის ნაკლებობა.

კლინიკა: ზრდაში ჩამორჩენა, ანემია, სისხლჩაქცევები კანზე.

პათანატომია: ანემია, შეუდედებელი სისხლი მუცლის ღრუში, სისხლჩაქცევები კანსა და კუნთებში.

მკურნალობა, პრევენცია : გაბალანსებული საკვები, K-ვიტამინის დამატება.

3. ასციტი (ფილტვის მაღალი წნევის სინდრომი) . ადგილი აქვს ბროილერის მოულოდნელ სიკვდილს.

მიზეზი: სტრესი, მაღალ კალორიული კომბ. საკვების ზედმეტი და ხანგრძლივი მიცემა, ჭარბი დასმა.

სიმპტომები: მუცელი გადიდებული, უმოძრაობა, რესპირატორული გართულებები, ციანოზი, სისუსტე, ფრთების ქნევა, ბუმბული უბან-უბან შეჯგუფებული, ზურგზე წოლა.

პათანატომია: ასციტი, ფილტვები შეშუპებული, ღვიძლი, ელენთა გადიდებული-სისხლჩაქცევებით, სისხლი გულმკერდისა და მუცლის ღრუში.

მკურნალობა - არა.

პრევენცია: მოვლა შენახვის პირობების გაუმჯობესება, სტრესის არიდება, გაბალანსებული კვება, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, მეტი ჟანგბადი და სითბო.

4. ცხიმიანი ღვიძლის ჰემორაგიული სინდრომი

მიზეზი: გაუბალანსებელი - მაღალკალორიული საკვების ჭარბად მიცემა, ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობა, მჭიდროთ დასმა, შეზღუდული მოძრაობა.

სიმპტომი: ფრინველი უმოძრაოდაა, ჩამჯდარია, ბიბილო უფერული.

პანატომია: ღვიძლის ცხიმოვანი გადაგვარება, ღვიძლი გაგლეჯილია, მუცლის ღრუ სავსეა სისხლით.

მკურნალობა, პრევენცია: დასმის ნორმის დაცვა, გაბალანსებული კვება, საკვებში დავიცვათ ენერგიის მაჩვენებელი (მაღალკალორიული საკვების ხანგრძლივად გამოყენება არ შეიძლება), სანიტარულ ჰიგიენური პირობების, მიკროკლიმატის დაცვა.

5. კანიბალიზმი - კორტნა.

მიზეზი: გაუბალანსებელი საკვები, უჯრედანას ნაკლებობა ულუფაში, მჭიდროდ დასმა, ცუდი მიკროკლიმატი, ჰაერში მტვერი, მაღალი განათებულობა და ტენიანობა. ბუმბულის ცვლის პერიოდი (განსაკუთრებით პათოლოგიური განგური).

სიმპტომები: კორტნა სხვადასხვა ადგილზე. განსაკუთრებით კლოაკის ირგვლივ.

პათანატომია: კანისა და ლორწოვანა გარსების მთლიანობის დარღვევა.

მკურნალობა, პრევენცია: გაბალანსებული კვება, სინათლის რეჟიმის დაცვა, ნათურების წითლად შეღებვა, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, ნისკარტის მოწვა. პერიოდულათ: ლიმონის მჟავა 2,5 გრ. გახსნილი 10 ლ. წყალში - დასალევად. აგრესიულისა და დაზიანებულის ცალკე იზოლირება.

6. ჰიპერთერმია - გადახურება მაღალი ტემპერატურით.

მიზეზი: საწიწილეში მაღალი ტემპერატურა, ჭარბი დასმა, არასწორი ტრანსპორტირება.

სიმპტომები: გახშირებული სუნთქვა, რესპირატორული აციდოზი, კანკალი, პარალიჩი, მოუსვენრობა, პირი ღია, ეტანება წყალს, ხშირად ვარდება კომაში.

პათანატომია: კუნთები გავს მოხარშულს, თავის ტვინის სისხლძარღვები გადავსებულია სისხლით, შეშუპებულია, ლეში ნელა შეშდება, ფილტვები შეშუპებული, ნაწლავები გაბერილი - ჭარბი გაზებით.

მკურნალობა, პრევენცია: მიკროკლიმატის მოწესრიგება, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ტემპერატურული რეჟიმის დაცვას, მეტი ჰაერი და გრილი სასმელი წყალი. გაბალანსებული კვება.

7. გადაცივება.

მიზეზი: ცუდი გათბობა, არასწორი ტრანსპორტირება, ორპირი ქარი საწიწილეში.

სიმპტომები: ფრთები ჩამოშვებული, კანკალებს, ერთად ჯგუფდება, მძინარე მდგომარეობაშია, წვება გვერდზე, სხეულის ტემპერატურა ეცემა, სუნთქვა იშვიათდება, ვითარდება გულსისხლძარღვთა სისტემის უკმარისობა და სიკვდილი.

პათანატომია: კანი, ბიბილო, კუნთები ანემიური, შინაგანი ორგანოები გადავსებულია სისხლით, ფილტვი და გულის კუნთები შეშუპებულია.

მკურნალობა: ტემპერატურული რეჟიმის, სინესტის რეგულირება, სწორი კვება.

8. **დეჰიდრაცია** - საკვების და წყლის მიუღებლობა

მიზეზი: საკვებსა და წყალზე მიუწვდომლობა.

სიმპტომები: ხმაურობს, ჩინჩახვი, კუჭი ცარიელია, სუსტდება.

პათანატომია: კიდურები თხელი და უფერულია, კუჭი ცარიელი, კუტიკულა და ნაწლავები მშრალი.

მკურნალობა, პრევენცია: საკვებისა და წყლის მისაწვდომობის გაუმჯობესება, მიკროკლიმატის მკაცრად დაცვა.

9. ჰიპოგლიკემია

მიზეზი: შეჩერებულია პანკრეასის გლუკაგონის სეკრეცია. გაუბალანსებელი კვება, სტრესი, ცუდი მოვლა შენახვის პირობები.

სიმპტომები: ძირითადათ ავადდება 7 – 18 დღის ასაკის ბროილერი. წვანან მკერდზე, კოორდინაცია დარღვეულია, აღგზნებულია, თანდათან გლუკოზის დონე მკვეთრად ეცემა სისხლში და კვდება.

პათანატომია: ღეში კახექსიურია, ანემიური.

მკურნალიბა: გაბალანსებული კვება, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, აუცილებელია ძილის რეგულირება - რაც ხელს უწყობს გლუკოზის რეგულირებას სისხლში.

10. კერატოკონიუქტივიტი (ამიაკით წვა)

მიზეზი: ცუდი ვენტილაცია, ამიაკის სიჭარბე ჰაერში.

კლინიკა: გარეგანი ლორწოვანა გარსების ანთება.

პათანატომია: კერატიტი, კონიუქტივიტი, სიბრმავე.

მკურნალობა, პრევენცია: მიკროკლიმატის დაცვა, ტემპერატურისა და ვენტილაციის, სინესტის რეგულირება, მეტი სუფთა ჰაერი, გაბალანსებული კვება.

11. ქერქიანი ბარძაყის სინდრომი

მიზეზი: ცუდი მიკროკლიმატი, დასმის სიმჭიდროვე, გაუბალანსებელი კვება.

კლინიკა: აქერცლილი, დაწყლულებული ბარძაყის ზედაპირი.

მკურნალობა: დასმის ნორმის, მიკროკლიმატის, კვების გაუმჯობესება.

12. სტერნალური ბურსიტი.

მიზეზი: დასმის სიმჭიდროვე, ცუდი მიკროკლიმატი, გაუბალანსებელი კვება, ცუდი - უხეში ქვეშსაფენი.

კლინიკა: მკერდის არეში სითხით სავსე სხვადასხვა ზომის ბუშტი, ხშირია მეორადი ინფექციები,.

პათანატომია: დაზიანებულია კილის ძვლის ვენტრალური წილი. სითხის შემცველი ბუშტით.

პრევენცია, მკურნალობა: მოვლა შენახვის პირობების გაუმჯობესება.

13. ქსანტომატოზი

მიზეზი: გაუბალანსებელი კვება, სხვადასხვა დაავადებების გართულების შედეგი.

კლინიკა: კანში დაგროვილია ქოლესტეროლი - თაფლისფერი სითხით, რომელიც თანდათან მყარდება.

პათანატომია: კანში დაგროვილი ქოლესტეროლის წარმონაქმნები.

მკურნალობა: გაბალანსებული კვება, PH-ის რეგულირება სისხლში, მიკროკლიმატის და მოვლა შენახვის პირობების გაუმჯობესება.

14. ბუმბულის პათოლოგიური ცვენა.

მიზეზი: გაუბალანსებელი კვება, განსაკუთრებით ვიტამინებისა და მინერალების, რიგი ამინომჟავების ნაკლებობა, ცუდი მიკროკლიმატი, ექტოპარაზიტები (მეტად ზრდასრულში).

კლინიკა: ბუმბული გაცვენილია მკერდის, მუცლის, ზურგის მიდამოში.

პათანატომია: სხეულის ძირითადი მასა ბუმბულის გარეშეა დარჩენილი, კანი აქერცლილია, უფერული.

პრევენცია, მკურნალობა: გაბალანსებული კვება, (ცისტინის დამატება საკვებში აუცილებელია), გოგირდის ფხვნილი, კალიუმის იოდატი - წყალში, ხოლინ ხლორიდი 200 გრ. + ვიტამინი PP – 200გრ. + მანგანუმი 20 გრ. გახსნილი ერთ ლ. წყალში, კომბ.საკვებში შერეული - 1000 ფრთაზე.

15. ისტერია.

მიზეზი: სტრესი, მჭიდროდ დასმა, გაუბალანსებელი კვება, ცუდი მიკროკლიმატი, ჰიპერაქტიურობა.

კლინიკა: მოუსვენრობა, მოვლითი მკვეთრი მოძრაობები.

პათანატომია: გამოკვეთილი ცვლილების გარეშე.

პრევენცია, მკურნალობა: დასმის ნორმის დაცვა, მიკროკლიმატის დარეგულირება, გაბალანსებული კვება.

16. ფეხის დაავადებები, ფეხებზე ეცემა, ვერ დგება.

მიზეზი: A, D, E ვიტამინების , კალციუმის და ფოსფორის ნაკლებობა, რახიტი, დაუბალანსებელი საკვები, მჭიდროდ დასმა, სიცივე, მაღალი სინესტე, ანტისანიტარია, სტრესი, სხვა საფრინველეში გადაყვანა, მაღალი ცოცხალი წონა, დაავადებები (მარეკი, მიკოპლაზმოზი) .

კლინიკა: ფეხზე დგომა უჭირს, კოჭლობს, ეცემა და ხშირად ჩამჯდარია.

პათანატომია: ნაკლებადაა *გამოხატული.*

პრევენცია და მკურნალობა: გაბალანსებული კვება, მინერალებისა და ვიტამინების დამატება, მოვლა შენახვის პირობების, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, დასმის ნორმების დაცვა.

17. თვალის დაავადებები .

მიზეზები: ცუდი მიკროკლიმატი, მძიმე აირების სიჭარბე, მწერების ნაკბენი, ექტოპარაზიტები, ტრავმა, მტვერი, კვამლი, მაღალი ტენიანობა, ცუდი ვენტილაცია, გაუბალანსებელი კვება, ჰიპოვიტამინოზები. დაავადებები (მარეკი, მიკოპლაზმოზი, ინფექციური ლარინგოტრახეიტი).

კლინიკა: ცრემლდენა, კონიუქტივიტი, ქუთუთოების შესიება და სიმსივნური წარმონაქმნები.

პათანატომია: სიგამხდრე, თვალის ლორწოვანა გარსების სიწითლე, წერტილოვანი სისხლჩაქცევები, ქუთუთოების შეწებება.

პრევენცია, მკურნალობა: სანიტარული პირობების, მიკროკლიმატის გაუმჯობესება, მწერებისა და ექტოპარაზიტებისაგან დაცვა, გაბალანსებული, ვიტამინებით გაჯერებული საკვების მიცემა, ტრიკალციფოსპატის დამატება, თვალის ლორწოვანა გარსების მობანა ჩაის ნაყენით, ბორის მჟავათი, გართულების შემთხვევაში გამოვიყენოთ ანტიბიოტიკები.

18. კუტიკულიტი.

მიზეზი: ავადდება როგორც წიწილი ისე მოზარდი. დაავადებას იწვევს: ვიტამინების ნაკლებობა, ზოგიერთი ამინომჟაბების (ლინოლევოის) დეფიციტი, ტოქსინები, მოწამვლები, არასწორი კვების რაციონი, ხშირია უხარისხო თევზის ფქვილის გამოყენებისას (შეიცავს ტოქსინებს), ინფექციური დაავადებები.

კლინიკა: ვერ მოძრაობს, ბუმბული ჩამოშვებულია, მადა არა, ნაკელი მუქი, დიარეა.

პათანატომია: კუტიკულიტის ბოლო ფაზაა - ჩირქოვანი ანთება, სიკვდილის დროს დამახასიათებელია - დაჭიმული კისერი, დაზიანებულია კუნთოვანი კუჭის (ძირითადათ), და ზოგჯერ ჯირკვლოვანი კუჭის ლორწოვანა გარსები, ჩანს წვრილი სისხლჩაქცევები, კუტიკულა იოლად სცილდება, სიკვდილი გამოწვეულია ზოგადი ინტოქსიკაციით (სეფსისით), ზრდასრულში: გარდა კუტიკულისა - თირკმელი, საკვერცხე გადიდებულია, მკერდის კუნთები ღია ფერისაა.

მკურნალობა, პრევენცია : გაბალანსებული , მაღალი ხარისხის საკვების მიცემა.

-კალიუმის პერმანგანატის ღია ვარდისფერი ხსნარის მიცემა განკურნებამდე.

-რკინის სულფატის ხსნარი 1 : 500 (7 დღე).

-ანტიბიოტიკები.

19. ვაქცინაზე რეაქცია- (ვაქცინაციის შემდგომი გართულება).

ორგანიზმის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ვაქცინაზე რეაქცია აცრიდან მე - 5 – 6 დღეზე.

კლინიკა: თავის ქნევა, ცხვირიდან და თვალიდან გამონადენი, ხველება, სცივათ, ზოგჯერ ნერვული მოვლენები.

პრევენცია და მკურნალობა: ვაქცინაციის წინ და შემდეგ ორი დღე მივცეთ ვიტამინების კომპლექსი, მიკროკლიმატის გაუმჯობესება. ეფექტურია ვაქცინაციიდან მე-5-6 დღეზე დასალევად უროტროპინი , გოუტექსი ან ჰეპავექსი ორი დღით.

წიწილა ბროილერის გამოზრდა ღრმა ქვეშსაფენზე

ბროილერი - მეხორცული ჯიშის ქათმის სპეციალიზებური ხაზების შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდული წიწილია, რომელიც სახორცედ გამოიზრდება 6 კვირის მანძილზე.

6 კვირის ასაკში ბროილერის ცოცხალი მასა 2 – 2,5 კგ-ია, ხორცის მალმწიფადობა 35 – 40 დღე, საკვების კონვერსია 1,5 – 1,9კგ 1 კგ / წონამატზე, ხორცის მაღალი ხარისხი, ნაკლავის გამოსავლიანობა (დაკვლის შემდეგ) 62 – 65 %.

გამოზრდის ტექნოლოგია:

1). წიწილის მიღებამდე განსაკუთრებულად უნდა მომზადდეს შენობა-საფრინველე, ინვენტარი, საწყურვებლები, საკვებურები და ა.შ. ყველაფერს უნდა ჩაუტარდეს სველი დეზინფექცია, გაირეცხოს, მოიწვას გაზის ალით, ბოლოს აეროზოლური დეზინფექცია. (ან სველი დეზინფექცია).

2). წიწილის მიღებამდე 3 დღით ადრე დაიყაროს მშრალი ქვეშსაფენი 10 სმ სიმაღლეზე, რომელიც გამოზრდის პერიოდში აირევა ფოცხით, ვეცადოთ არ დასველდეს,(დასველების შემთხვევაში სველი მასა მოვაცილოთ, მის ადგილას დავაყაროთ ახალი მშრალი ქვეშსაფენი).

3). წიწილის მიღებამდე 2 დღით ადრე გავათბოთ შენობა 35 გრადუსამდე.

4). წიწილი ინკუბატორიდან უნდა მივიღოთ რაც შეიძლება მოკლე დროში - ტემპერატურული რეჟიმის დაცვით. (წიწილა უწყლოდ და საკვების გარეშე სძლებს 36 სთ-ს.).

5). გამართულად უნდა მუშაობდეს გათბობის, განათების, ვენტილაციის სისტემები.

6). წიწილის დასმის ნორმა - ერთ კვ.მ. ფართობზე მიღებიდან გამოზრდის ბოლომდე 14 – 15 ფრთა. (გალიაში კი ერთი წიწილისთვის 180 კვ. სმ.).

7). წიწილის დასმის წინ ქვეშსაფენზე უნდა დავაფინოთ სქელი ქაღალდი (თეთრი ფერის), რომელზეც პირველ დღეებში დაიყრება საკვები, ასევე დაიდგმება ვაკუუმური საწყურვებლები (ბანკა და პლასტმასის ჩაშკა), რომელშიც ჩაისხმება ოთახის ტემპერატურის წყალი (20 – 25 გრადუსის ტემპერატურის). წიწილს მიღებისას- ჩასმის წინ- ჯერ ეძლევა პირველი ულუფა სასმელი წყალი, რომელშიც გავხსნით შაქრის ან გლუკოზის ფხვნილს 1 სუფრის კოვზი 1 ლიტრში (100 გრ. – 10 ლ -ში, 1 კგ - 100 ლ-ში); ხოლო 1,5 – 2 საათის შემდეგ მიეცემა საკვები. წყლის მეორე ულუფაში მიეცემა ვიტამინი ,,C''(5 გრ, - 100 ლ.წყალზე) ან ლიმონმჟავას ოდნავ მომჟავო გემოს ხსნარი (იწვევს შიმშილის შეგრძნებას). ქაღალდის პარალელურად საკვები დაეყრება ბრტყელ საკვებურებზე (რომელიც დამზადებულია ხის ან პლასტმასისაგან და კიდეები ერთი სმ-ით ექნება აწეული), ქაღალდი აიღება მე 4 -5 დღიდან, ერთი დღით ადრე კი ჩაიდგმება

ღარიანი საკვებურები - სიმაღლით 4 სმ. (2 კვირამდე), შემდეგ 6 – 10 სმ. სიმაღლის საკვებურები. საკვებურის ზედა კიდე ფრინველის ზურგის დონეზე უნდა რეგულირდებოდეს ზრდის პარალელურად.

- კვების ფრონტი 1 ფრთაზე პირველი 15 დღე - 5 სმ. შემდეგი პერიოდი 10 სმ, გამოზრდის ბოლომდე.

- დაწყურვების ფრონტი პირველი კვირა 1,5 – 2 სმ. ერთ ფრთაზე, შემდეგ 2,5 სმ. ს0აწყურვებლის დონე უნდა იყვეს წიწილის კეფის სიმაღლეზე.

8). დავიცვათ ტემპერატურული რეჟიმი :

1 - 4 დღე $35^0 – 34^0$ C;

5 -12 დღე $33^0 – 28^0$ C ;

13- 20 დღე $27^0 – 25^0$ C :

21 -30 დღე $24^0 – 23^0$ C :

31 დღის ზევით $22^0 – 21^0$ C .

9).განათების სიმძლავრე: წიწილის თავის სიმაღლეზე თეთრი ჯიშისთვის:

1 – 3 კვირა 25 – 40 ლუქსი 1კვ. მ-ზე, (25 კვტ სიმძლავრის ნათურა);

4 კვირიდან - 10 ლუქსი.(ფერადი წიწილისთვის - 40 ლუქსი.)

სინათლის ხანგრძლიობა უნდა შეადგენდეს:

1 – 2 დღე - 24 სთ.

3 - 10 დღე - 23 -22 სთ.

11 - 30 დღე - 21 -20 სთ.

31დღის ზევით -18 - 17 სთ. (დაკვლამდე).

შუქის გამორთვისთანავე - შევამოწმოთ, წიწილები არ იყვნენ შეჯგუფული და გავშალოთ.

10). შენობის კუთხეებში მოვაწყოთ მოხრილი ფანერები, კუთხე რომ მომრგვალდეს და წიწილი არ გაიგუდება. თუ ქვის შენობაა იატაკის გასწვრივ კედლებზე გავაყოლოთ 10 – 12 სმ სიმაღლეზე ხის ფიცარი (ღამით წიწილი თავს იყრის კედლის გასწვრივ და არ გადაცივდება).

11). ჰაერცვლა: ჰაერის განწოვა უმჯობესია ქვედა ზონიდან, შემოტანა კი ზევიდან. ჰაერის მოძრაობის სიჩქარე ცივ პერიოდში 0,2 – 0,3 მ/ წმ, თბილ პერიოდში - 0,6 მ / წმ-ში. ერთი თვის ზევით კი არაუმეტეს 1,2 მ / წმ-ში.

12). ყურადღება მიაქციეთ ტენიანობას, ზედმეტი (კონდენსატი) არ შეიძლება ! (გამოიწვევს დაავადებებს). ნორმალური ტენიანობაა 1 – 10 დღე 70 – 75 %; შემდეგ კი 60 %.

13). ბროილერის კვება: - უმჯობესია ვკვებოთ ქარხნული წესით დამზადებული კომბინირებული საკვებით, თუმცა ადგილზეც შეგიძლიათ საკვების დამზადება.

1 - 3 კვირა ეძლევა ბროილერის პირველი ფაზის კომბ. საკვები (სასტარტო);

4 - 5 კვირა ეძლევა ბროილერის მეორე ფაზის კომბ. საკვები (ზრდის);

5 კვირის ზევით ეძლევა ბროილერის მესამე ფაზის კომბ. საკვები (საფინიშო).

დაიმახსოვრეთ ! კომბინიებული საკვები არ შეიძლება გამოიყენოთ, თუ ის ერთი თვის წინაა დამზადებული, არ უნდა შეიცავდეს შეწებებულ კოშტებს, არ უნდა ქონდეს მძაღე ცხიმის სუნი და ოზი.

- თუ საკვებს ადგილზე დავამზადებთ უმჯობესია გამოვიყენოთ სიმინდი და 35% კონცენტრატი (შეიძლება სხვა პროცენტული შემადგენლობისაც).
- 35 % კონცენტრატის გამოყენებისას უნდა ავიღოთ:

1 – 14 დღის ასაკში : სიმინდი 60 %, კონცენტრატი 40 %;

15 - 28 დღის ასაკში : სიმინდი 65 %, კონცენტრატი 35 %;

29 – 42 დღის ასაკში: სიმინდი 70 %, კონცენტრატი 30 %.

ადგილზე კომბ. საკვების დამზადების რეცეპტი იხილეთ N 1 დანართში.

გაანგარიშებისთვის ვიცოდეთ:

1 – 7 დღის მანძილზე 1 ფრთის კომბ. საკვების დღიური ნორმაა 15 – 20 გრამი;

8 - 9 დღის ასაკში - 30 გრ.

10 – 15 დღის ასაკში - 40 – 68 გრ.

16 - 20 დღის ასაკში - 70 – 95 გრ.

21 - 30 დღის ასაკში - 100 – 150 გრ.

31 - 35 დღის ასაკში და ზევით --155 – 170 გრ.

-საკვებურებში საკვები უნდა გავუახლოთ (დავამატოთ) - პირველი 2 დღე -დღეში 6-ჯერ, შემდეგ - დღეში 5 -ჯერ.

საკვების მოხმარების ჯამი 35 დღის მანძილზე შეადგენს 2,970 – 3 ,0კგ-ს. 42 დღეში 3,5 – 3 ,8 კგ-ს.

-უმჯობესია ბროილერი იკვებებოდეს ნებაზე !

14). ყოველ კვირაში ერთხელ ვაკონტროლოთ ბროილერის ცოცხალი წონა:

მიღებისას წიწილის წონა უნდა იყვეს 38 – 40 გრამი,

მე - 7 დღეზე - 164 გრ.

მე -14 დღეზე - 420 გრ.
21 -ე დღეზე - 828 გრ.
28 -ე დღეზე - 1361 გრ.
35 -ე დღეზე - 1990 გრ.
42 -ე დღეზე - 2,2 კგ და ზევით.

15) ვეტერინარულ პროფილაქტიკური ღონისძიებები :

ა). ეცადეთ ბროილერის წიწილი გამოზარდოთ ცალკე, იზოლირებულ შენობაში. ერთ შენობაში უნდა დაისვას მხოლოდ ერთი ასაკის წიწილი.

ბ).პირველი 3 დღე მიეცეს რომელიმე ანტიბაქტერიული პრეპარატი (ენროფლოქსი, ვილფლოქსი, პოლიდოქსინი ან სხვა), რათა არ გავრცელდეს პულოროზი, კოლიბაქტერიოზი, სასუნთქი გზების ან სხვა დაავადებები.

გ). მეორე დღიდან ეძლევა ვიტამინები და მინერალები სასმელ წყალთან ერთად (განასუპერვიტი, ჩიქტონიკი, განამინოვიტი, ვიტამინი AD3E და სხვა).

დ).კოკციდიოზის პროფილაქტიკის მიზნით 10 დღის ასაკიდან 10 დღის მანძილზე ეძლევა რომელიმე კოკციდიოსტატიკი, 1 კვირა შესვენება და ისევ 7 დღიანი კურსი.

-დაკვლამდე 7 – 10 დღით ადრე პრეპარატების მიცემა წყდება.

ე). აუცილებელია გავატაროთ დერატიზაციის, დეზინსექციის, დეზაკარიზაციის ღონისძიებები (მღრნელების, მწერების, ექტოპარაზიტების საწინააღმდეგოდ).

-ექტოპარაზიტებზე კარგია სილის, ნაცრის, კირის, ნარევის ვანის მოწყობა, რომელშიც ფრინველი იქექება და ებრძვის ექტოპარაზიტებს.

ვ). დავიცვათ ფერმა უცხო პირებისაგან, გამოვიყენოთ სპეც.ტანსაცმელი, დეზობარიერები.

ზ). ფრინველის დაკვლის შემდეგ ქვეშსაფენს გავუკეთოთ სველი დეზინფექცია და გავიტანოთ სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე ბიოთერმული გადამუშავებისთვის - (კომპოსტირებისთვის). სანაციის პერიოდში ჩავატაროთ საჭირო ვეტ.ღონისძიებები.

თ).შეადგინეთ გრაფიკი და ჩატარდეს დროული აცრები ინსტრუქციის შესაბამისად : ნიუკასლის (ცრუ ჭირის), ინფექციური ბრონქიტის, გამბოროს (ინფექციური ბურსას) საწინააღმდეგოდ:

პირველი აცრა - ინკუბატორში ინფექც. ბრონქიტის და ნიუკასლის საწ-ოდ (MA 5-CL 30) შტამით.

მე - 8 დღეზე --გამბოროს საწინააღმდეგოდ - დალევინებით,

მე -12 -14 დღ. -ნიუკასლის საწინააღმდეგოდ-ლასოტა,-დალევინებით, ცხვირში ან თვალში ჩაწვეთებით.

მე -17- 18 დღ. -გამბოროს საწინააღმდეგოდ- დალევინებით.

21-ე- 23-ე დღ. -ნიუკასლის საწინააღმდეგოდ -ლასოტა-დალევინებით, ცხვირში ან თვალში ჩაწვეთებით.

ი). დაავადების გამოვლინების შემთხვევაში გატარდეს კონკრეტული დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებები ვეტექიმის კონსულტაციის შესაბამისად.

კ). შევურიოთ კომბ. საკვებში მიკოტოქსინების საწინააღმდეგო პრეპარატები, სასმელ წყალში კი კვირაში ორჯერ მიეცით ღია ფერის მარგანცოვკიანი წყალი ნახევარი დღის მანძილზე.

დანართი1.

ბროილერის კომბ. საკვების რეცეპტი

კომპონენტები	1-4 კვ. ასაკი	5 კვ.ზევით
სიმინდი	45	45
ხორბალი	10	19
მზესუმ.შროტი	15	19
სოიოს შროტი	10	-
საკვ. საფუარი	5	5
თევზ.ფქვილი	7	3
ძვალხ.ფქვილი	-	2
ბალახის ფქვ.	1,6	1
ცარცი	1,2	0,5
ძვლის ფქვილი	0,4	0,5
სუფრის მარილ	0,3	0,4
საკვები ცხიმი	3,5	3,6
პრემიქსი	1	1

100 გრ.საკვები პროცენტულად შეიცავს

მაჩვენებ.	1 -4 კვ.	5 კვ.ზევით
ენერგია	310კკალ.	315კკალ.
პროტეინი	22	19
ცხიმი	6,8	6,7
უჯრედანა	4,6	4,6
კალციუმი	1,0	1,0
ფოსფორი	0.8	0,7
ნატრიუმი	0,3	0,3
ლიზინი	1,1	0,8
მეთიონინი	0,42	0,35
ცისტინი	0,34	0,29
1ტ. საკ-ზე ემატება:		
მეთიონინი	200გრ.	800გრ.